

დამტკიცებულია
შპს სკოლა მილენიუმის
დირექტორის 2024 წლის 16 აპრილის N 1/58 ბრძანებით

შპს სკოლა მილენიუმის
სამედიცინო მომსახურების მექანიზმები

2024 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს შპს სკოლა მილენიუმში (შემდგომში – სკოლა) სამედიცინო მომსახურების გაწევის პროცედურებს;

1.2. წინამდებარე მექანიზმები ვრცელდება სკოლის მოსწავლეებსა და პესონალზე;

1.3. სკოლაში სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფს სკოლის ექიმი „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტის“ შესაბამისად;

1.4. მექანიზმები მიზნად ისახავს სკოლაში ჯანმრთელობის დაცვის ღონისძებების სრულყოფილად განხორციელების უზრუნველყოფას.

მუხლი 2. სამედიცინო მომსახურების მექანიზმები

2.1. სკოლის მოსწავლეებსა და პერსონალს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია ან სამედიცინო დახმარება სკოლის ექიმისაგან;

2.2. კონსულტაციისა ან სამედიცინო დახმარების მისაღებად მოსწავლეებმა და პერსონალმა უნდა მიმართონ სკოლის სამედიცინო კაბინეტს, რომელიც განთავსებულია პირველ სართულზე და მოწყობილია/აღჭურვილია „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსაურების სივრცის
(კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ მოთხოვნების დაცვით;

2.3. სკოლის ტერიტორიაზე ყოფნის დროს, ჯანმრთელობის გაუარესებისას, საჭიროების შემთხვევაში, პირი მიმართავს დაწესებულების ნებისმიერ თანამშრომელს, რომელიც უზრუნველყოფს მის მიცილებას სკოლის სამედიცინო კაბინეტამდე;

2.4. თუ მოსწავლის, ან თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე ეჭვქვეშ დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოება, დაწესებულებაში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს აცნობოს ექიმს და სთხოვოს მას ავადმყოფის ადგილზე გასინჯვა. ექიმი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს თხოვნა;

2.5. სკოლის ყველა თანამშრომელი, თუ მოსწავლე ვალდებულია ჩააყენოს საქმის კურსში დაწესებულების ექიმი/ადმინისტრაცია ყველა ისეთი დაავადების შესახებ, რომელიც უცარი, გაუთვალისწინებელი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი შეტევის წარმოშობის შესაძლებლობას ითვალისწინებს; შეტყობინების ვალდებულება ვრცელდება ორსულობის (პერსონალი), ასევე საოპერაციო რეაბილიტაციის მდგომარეობაში მყოფ პირებზე;

2.6. სკოლის ექიმი ვალდებულია დაუყოვნებელი რეაგირება მოახდინოს მოსწავლის, ან სკოლის პერსონალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მდგომარეობაზე (მწვავე ტკივილი, ცხელება, ტრავმა, დამწვრობა, მოწამვლა, კრუნჩხვა, ასფიქსია, ცნობიერების მოშლა და სხვა), შეაფასოს მდგომარეობის სიმძიმე და მიიღოს გადაწყვეტილება სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების შესახებ;

2.7. სკოლის ექიმმა, მოსწავლის მდგომარეობის გათვალისწინებით, საგაკვეთილო პროცესიდან მისი გათავისუფლება უნდა განახორციელოს შემდეგნაიად – უზრუნველყოს: ა)მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და კლასის დამრიგებლის ინფორმირება, ბ) მოსწავლის მიერ სკოლის დატოვება მშობელთან, ან კანონიერ წარმომადგენელთან ერთად;

2.8. სკოლის ექიმმა სამედიცინო შემთხვევებთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა აღრიცხოს/აღწეროს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით“ განსაზღვრულ სამედიცინო დოკუმენტაციაში;

2.9. სკოლის ექიმმა უნდა გაატაროს საჭირო ღონისძიებები სკოლაში ინფექციური დაავადებების

გავრცელების პრევენციის მიზნით და საჭიროების შემთხვევაში მიმართოს შესაბამის უწყებებს;

მუხლი 3. დასკვნითი დებულება

3.1. სკოლაში სამედიცინო მომსახურების მექანიზმებით გათვალისწინებული მოთხოვნების/საქმიანობის დაცვა/განხორციელება ევალება სკოლის ექიმს.
3.2. წინამდებარე მექანიზმებს ამტკიცებს სკოლის დირექტორი ბრძანების გამოცემის გზით;